ფონდისა და ოქსფორდის უნივერსიტეტის საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების ერთობლივი კვლევითი პროგრამის 2026 წლის საგრანტო კონკურსი

ხშირად დასმული კითხვები

1. **მაინტერესებს თუ არის ფაკულტეტზე არქეოლოგი, ანთროპოლოგი ან ანთროპოლოგიური არქეოლოგიის სპეციალისტი? თუ არ არის ამ კონკრეტულ ფაკულტეტზე მსგავსი სპეციალისტი იქნებ იყოს შესაძლებელი არქეოლოგიის დეპარტამენტიდან მენტორის აყვანა?**

პასუხი: გამარჯვების შემთხვევაში მასპინძელი დაწესებულება თვითონ შეგირჩევთ მენტორს - რომელიც ხელს შეუწყობს მიწვეულ მკვლევარს კვლევის განხორციელებაში (კონკურსის დებულების მე-4 მუხლის "ბ" პუნქტი).

2. **CV- gmus-ში უნდა იყოს გენერირებული?**

პასუხი: დიახ, პროფესიული ბიოგრაფია (CV) ივსება და გენერირდება GMUS-იდან პირადი პროფილის შევსების შემდეგ.

3. **რეკომენდატორები აუცილებია რომ დოქტორები იყვნენ?**

პასუხი: არა. რეკომენდატორისთვის დოქტორის აკადემიური ხარისხის ფლობა სავალდებულო მოთხოვნას არ წარმოადგენს.

4. **სავალდებულოა თუ არა მიწვეული მკვლევარისთვის, რომელიც მუშაობს ბოდლეინის კოლექციაზე კონკურსის პირობების მე-11 მუხლის სავალდებულო მოთხონებიდან აირჩიოს მე-3 პუნქტი?**

პასუხი: დიახ. მიწვეული მკვლევარი, რომელიც იმუშავებს ბოდლეინის კოლექციაზე ვალდებულია ერთი რეცენზირებული სამეცნიერო (ინგლისურ ენაზე) ნაშრომის, როგორც წიგნის თავის სახით გამოქვეყნებაზე (კონკურსის პირობების მე-11 მუხლის სავალდებულო მოთხონების მე-3 პუნქტი).

5. **აუცილებელია თუ არა კონკურსში განაცხადის წარდგენისათვის საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან აფილირება?**

პასუხი: არა. მოწვეული მკვლევრისთვის საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან აფილირება სავალდებულო მოთხოვნას არ წარმოადგენს.